

აზიზი

ნინო ანანიაშვილის
დაბრუნება



ნინო ანანიაშვილი, დიდი პატრიოტი
და საქართველოს მარგალიტი -
ასეთია პრეზიდენტის შეფასება.

A4

უცხოეთი

ადამიანთა გატაცება
- ერაყელი
ექსტრემიზმის სახე



თავისი მოქალაქის, ანგელო დელა
კრუზის გამოსახსნელად
ფილიპინებს ერაყიდან ჯარის
გაყვანა მოუხდა.

A5

ეკონომიკა

ელექტრორეიდი
თბილისში



ნანახმა მიკლაიუნასისა და
გილაურის მოლოდინს გადააჭარბა.

A6

საზოგადოება

ხორციის
მოყვარულთა
საყვარდღებოდ



მოითხოვთ ვეტ-სან-ექსპერტიზის
ქვითარი.

A6

ანიფი

	22/7	23/7
თბილისი	30 ☁	28 ☁
ქუთაისი	32 ☀	31 ☀
ბათუმი	28 ☁	29 ☁
სოხუმი	29 ☀	24 ☁
ფოთი	30 ☀	29 ☁
თელავი	29 ☁	27 ☁
ზუგდიდი	31 ☀	29 ☁
გორი	27 ☀	27 ☁
ახმეტა	29 ☁	27 ☁
ჟიჟიურა	31 ☀	31 ☀

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8950
ევრო	2.3384
გირვანა ლარი	3.5082
რუბლი	0.0651

ბარემოს დაცვის სამინისტრომ ბაქო-თბილისი გზაზე



ბაქო-თბილისი-
ჯეიჰანის
ნავთობსადენის
პირველი შილის
ჩადების საზეიმო
ცერემონიალი.

ოთარ ქირია

ნელობს და იმასაც, რომ ამავე
ქვეყნის ახალმა მთავრობამ, მი-
ლსადენის მშენებლობისა და ოპ-
ერირების მონიტორინგის მიზნ-
ით, სპეციალური კომისია შექმ-
ნა. კომისიები ადრეც ბევრი არ-
სებობდა, მაგრამ...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ
ათიოდე წლის წინათ მსოფლიო
საფინანსო გიგანტებმა ევროპასა
და აზიას შორის ნავთობის ახალი,
უფრო მარტივი გზით გადაზიდე-
ის სურვილი გამოთქვეს. "უფრო
მარტივი" მსოფლიო ბაზრისთვის
ნიშნავდა იმას, რომ "არაბულ კო-
ნტროლს" ალტერნატივა მოეძე-

ნებოდა. მართალია, ამ კონტრ-
ოლს ბოლო სხვა მეთოდებით მოე-
ლო, მაგრამ ალტერნატიული გზე-
ბი მაინც შენდებოდა. სხვათა შორის,
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექ-
ტის შექმნაზე მუსაფი მამინე
დაიწყო, როცა მოკავშირეებმა
ერაყის ქვიშაზე დადგეს ფეხი, მა-
გრამ ამ დროისათვის მსოფლიო
ბანკს, "ბრიტთ პეტროლეუმს" და
სხვა მრავალს უკვე მილიონები
შეჰნდებოდა ჩაყრილი. პროექტის ჩა-
შლის არანაკლები ინტერესი ამო-
ძრავებდა რუსეთს, რომელიც ბა-
ქო-ჯეიჰანის სერიოზულ კონკუ-
რენტად მიიჩნეოდა. რუსეთი რამ-

დენიმე ხაზს ფლობს და მათ შორ-
ის "დავანგებულები" მოიძებნება.
"ცდა ბედის მონახვერება", მაგრამ
შტატების ინტერესებთან შეწინა-
აღმდეგება რუსეთს სხვაგანაც
ეყოფა... "ბედად", გასული საუკუ-
ნის დასაწყისში სომხეთმა და თუ-
რქეთმა დიპლომატიური ურთიე-
რთობა განწყვიტეს, თორემ თბი-
ლისი აუცილებლად ამოვარდებო-
და ნავთობსადენის მარშრუტიდ-
ან, იმ მარტივი მიზეზის გამო,
რომ ინვესტირების მოკლე გზას
აირჩევდნენ.

ბაზრადება A3 ბაზრადება

თამარ ლაბანძე:
"რომ შეგვიძლოს,
მარშრუტს
შეგვიძლიდით"

ინტერვიუ საქართველოს გარემოს
დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრთან თამარ
ლანძეშვიტთან:

- აზრს, რომ მარშრუტი ნამდვი-
ლად არასწორად არის შერჩეული,
სრულად ვეთანხმები. დღის წესრი-
გში ახლა რომ იდგეს საკითხი მარშ-
რუტის შერჩევის შესახებ, აუცილე-
ლად სხვა მარშრუტს ავარჩევდით.

- რატომ?
- იმიტომ, რომ ბორჯომის ხეო-
ბას საქართველოსთვის ძალიან დი-
დი მნიშვნელობა აქვს.

- გამოდის, საფრთხე მართლ-
აც გვემუქრება?

- მილსადენის გახეხვის შანსი
მინიმალურია. თუმცა, მთავრობა
მაინც არ ნავიდოდა რისკზე.

- ხელმეორე რაუკი, რომელიც
სწორედ მარშრუტის არჩევის
დროს შეიქმნა. აქ ყველას ხელმო-
წერა და კომენტარია მოცემული.
წინააღმდეგი არავის არის. გამო-
დის, წინა ხელისუფლებას ეწინა-
აღმდეგებით, მაგრამ ძალიან არ შე-
გნეოთ, პროექტი შეაჩეროთ.

- მე არავის ვეწინააღმდეგები.
ამასთან, ამ წერილის დაწერა (იგუ-
ლისხმება შემოთავაზებული ღია

ბაზრადება A3 ბაზრადება

მსოფლიო ბანკი
პროექტის
შესრულებით
კმაყოფილი
არ არის

გარდა იმისა, რომ ბაქო-თბილი-
სი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშე-
ნებლობას, გარკვეულწილად, საქე-
რთველოს გარემოს დაცვის სამინი-
სტრო, მთავრობის წევრებისაგან
შემდგარი სპეციალური კომისია და
ექსპერტები აკონტროლებენ, მსო-
ფლიო ბანკმა ცალკე იქირავა ექს-
პერტები - საუბარია მრჩეველებზე
გარემოს დაცვისა და ტექნიკურ სა-
კითხებში. ისინი დასკვნებს ცალკე
აკეთებენ. აი, რას წერენ ისინი:

"თავისი მუშაობის პირველ
ეტაპზე - 2003 წლის გაზაფხულზე
ორმა დამოუკიდებელმა ექსპერ-
ტმა "საერთაშორისო საბჭომ (პა-
ნელმა)" (ტექნიკური მრჩეველის,
საქართველოს გარემოს დაცვის
სამინისტროსა და საქართველოს
ნავთობის საერთაშორისო კორ-
პორაციის ექსპერტებთან ერთად)
განსაზღვრა აუცილებელი დამატე-
ბითი შესწავლების მოცულობა და
შინაარსი მეწყრებთან და მდინარე-
ების გადაკვეთებთან დაკავშირე-
ბით. ეს სამუშაოები განხორციელ-
და ერთობლივი ჯგუფების მიერ,
რომელთაც "პანელის" წარმომად-
გენლები ხელმძღვანელობდნენ.
გვ. ჯგუფებში BTC Co-ს კონტრაქ-
ტორთან ერთად მონაწილეობდნენ
- ტექნიკური მრჩეველი, საქარ-
თველოს გარემოს დაცვის სამინი-
სტროსა და საქართველოს ნავთობ-
ის საერთაშორისო კორპორაციის
მიერ შეთავაზებული ექსპერტები.
პროექტების შემდგომი დეტალი-
ზაცია განხორციელდა "პანელის"
რეკომენდაციების შესაბამისად.

ბაზრადება A3 ბაზრადება

ფართო საინფორმაციო სექტორი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, სახანაო, ენაგაბიტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტიკა
გამოქვეყნებული, ქალაქისა და სოფლის სიხალადი, საბუღალტრო კონსოლიდაციაში მითრ მსოფლიოს სხვადასხვა კომპიუტერ
მონიტორინგი უახლესი აზიზი.

"24 საათის" ჩაბარება - "საბარათო", "გიგანტი", "მონაფიკა", "ავტომობილი", "პროექტირება", "საქსამსახურები",
"მეცნიერება და ტექნიკა", "გალაქილია".

ეკონომიკური პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოფლის ფონდთან" განხორციელდა მოქალაქეებს გათ
უფლებასა და მოქალაქეებს. გათმობისთვის გათ საბარათო და საბარათო საბარათო საბარათო.

"24 საათი" ექსპლუატორად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრაქტიკულად, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო
სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოიჩინოს გაზაფხობები
და უზრუნველყოფილი იყოს მონიტორინგის სტაბილურობა.

საქართველოს პრაზიდენტს, ბატონ მისილ სააკაშვილს!

ბაქო-თბილისი-ჭაიჭანის ნავთობსადანი

ბორჯომის ხეობას კატასტროფით ემუქრება

ბატონო პრეზიდენტო! დასაწყისში გვსურს, ხასკამით აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ მოყვანილ მსჯელობის კრიტიკული განხილვა ეჭვის ქვეშ არ აყენებს ქვეყნის დასავლური ორიენტაციის მართებულიობას; ვიმედოვნებთ, რომ ნავთობსადენის განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე შედეგად მოჰყვება სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამატებითი, მყარი საერთაშორისო გარანტიების სისტემის ფორმირება, რაც შექმნის შესაძლებლობას მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, შევარდნაძის მმართველობას ხელსაყრელი პირობების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენების უნარი არ აღმოაჩნდა: ჩვენ თვლით, განადგურებული ეკონომიკური პოტენციალი, დაკარგული ტერიტორიული მთელანობა, ასეველი ათასობით დევნილი და სამშობლოდ გადახვედნილი თანამემამულე, დახმარების სახით გამოყოფილი და უკუკლდე გამჭრელი ასობით მილიონი დოლარი ამის ნათელი მაგალითია.

ბუნებრივია, რომ შეუძლებელი იქნებოდა, განსხვავებული დამოკიდებულება ყოველიყო, ესამე თაისაღლეულის დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის მიმართ - ყოფილი ხელისუფლების უპრინციპობამ, სიხარბემ და არაკომპეტენტურობამ, აგრეთვე, ინვესტიორის წინადაუხედაობამ, ისეთი საპროექტო შეცდომები გამოიწვია, რომელთა გამოც, თავისი ობიექტური შესაძლებლობებით პერსპექტიული, საერთაშორისო გარიშეპური ინტეგრაციით მონაწილეობის პრესტიჟული იდეა საეჭო ღირსების წამოწყებად იქცა.

და ასე მოხდა იმტომ, რომ კომუნისტური მმართველობის ტერიტორიებით მთაზროვნე ყოფილმა პრეზიდენტმა გასცა განკარგულება ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის შესახებ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ბუნება მას უსიტყვოდ დაემორჩილებოდა.

შეცდომა რამდენჯერმე იქნა დამეუბლი:

1. გამართლებელი იყო უხეში ზნეოლი ინვესტიორზე, რის გამოც, იგი იძულებული გახდა, შეეცვალა პირველადი გადაწყვეტილება.

2. დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობისა და გულგრილობის გამო, ინვესტიორისათვის ტრასის ალტერნატიული მიმართულებად შეთავაზებული იქნა ბორჯომის ხეობა.

3. ქვეყნის ინტერესების აღქმის უუნარიანობა და სიმბდალის გამო, არ მოხდა დამეუბლი შეცდომის დროული აღიარება, არ ჩატარდა კონსერნტუნარიანი გარანტიების ობიექტური შეადგენა და გაზვიადებული მიზეზებით დაწუნებული იქნა აშკარად უფრო პერსპექტიული, ე.წ. "ყარა-ყაისი" მიმართულება (ჩვენ გვინახილიყო **BTC Co**-სთან გამართული კონსულტაციები გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის დღეებში და, მოუხედავად ყოველივე ზემაღიწმნისულისა, იქმნებოდა იმის სრული მიაბეჭდილება, რომ ინვესტიორი, რეალბის ობიექტური ანალიზის საფუძველზე, მზად იყო, შეეცვალა ნავთობსადენის ტრასის ბორჯომის ხეობის მონაკვეთი. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა იმდროინდელი სახ. მინისტრის ა. ჯორბენაძისა და მისი უფროსის ჩარევის შემდეგ).

ბუნებრივია, ვითარება ასე არ დამთბებოდა და ქვეყნისათვის საავალო გადაწყვეტილებით არ დასაყრდნობდა, რომ ჩატარებულიყო არანებელი პრობლემების ღია, ჯანსაღი განხილვები და საზოგადოებისათვის ცნობილი ყოფილიყო რეალური სურათი.

გარემოზე შესაძლი ზემოქმედების (გვს) პროექტის ოფიციალურად წარმოცდების შემდეგ "საერთაშორისო ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ" (სსსკ) დაიწყო საჯარო განხილვების ორგანიება. კომპეტენტური, საგნობრივი კამათის ნაცვალად, ტარდებოდა 70-იანი წლების შუაგავსე კომკავშირულ-დამკერული მმართველობის მხარდამჭერი პრობანდისტული, საზემო მოსწრებები, რომლებზეც დამსწრე არწმუნებდნენ, რომ ყოველივე უსაფრთხო ნავთობსადენის შემწელობა გადაარჩენდა ქვეყანას.

ისევე, როგორც მოქალაქთა კავშირის სააარჩეო კარუსელს, ამ განხილვებსაც წინასწარ მიღწეულ გადაწყვეტილებას ღიბიტიმაცია უნდა უზრუნველყოფი; სცენარი - შედეგითი, ხოლო მონახილეთა კონტინგენტი მკაცრად იყო განსაზღვრული: ცენტრალური და რეგიონული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები, დაგეგმილი და შეთანხმებული გამოსვლები და თუ შემთხვევით, ორგანიზაციონალი სიღრმხილის მოუხედავად, დარბაზში განხილვებულ აზრის გამომხატველი ადმინისტრაციები, ამ მიზნისათვის სპეციალურად მერჩეული და საზოგადოების სახელის მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების ლეგიონები წინასწან ინტელექტუალისთან ერთად მზად იყვნენ, ურჩი მონახილ ქვეყნის მტრად გამოცხადდნითა.

აი, ასეთი კარუსელის აწყობდა სსსკ გზუს პროექტის განხილვებისას, ამავე ხალხს ახედრებდა უცხოელ ექსპერტებს. მას მთაში ედგა სახელმწიფო პროპანდისტული მანქანა და იყო სრული იდლია; უმიზეზობის ტიპებული მოსახლეობის ციერ მანახის ღიოდ.

მათ გათავისმწმნეს ყველაფერი, გარდა ქვეყნის ინტერესებისა და იმისა, რომ ბუნებასთან გარიგება შეუძლებელია.

ყველას კარგად ვახსოვს, როგორ დადგა ე. შევარდნაძე ბორჯომის ხეობის უსაფრთხოების გარანტად, როგორ ამტკიცებდა გაჭანტებისა, რომ რისკის ფაქტორი იქნება "ბ-ბ", მშმდეგ "ბ-ბ", მშმდეგ "ბ-ბ", მშმდეგ "ბ-ბ" - თან მთაში გადგებოდა, ხოლო სულ ბოლის ყველაზე გავრცედა, როდესაც განაცხადა, რომ ნავთობსადენი ბორჯომის ხეობაში არ გადის.

საკითხის საპარლამენტო განხილვისას მძიმე მდგომარეობაში მყოფმა გარე-

მოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა ნ. ჩხობაძემ აღნიშნული კითხვას არ უპასუხა და განაცხადა, რომ იგი გეოგრაფიის სპეციალისტი არ არის.


ჩვენ შეედივართ ქალბატონი ნინოს მძიმე მდგომარეობაში, მიგვანია, რომ შევარდნაძის გარემოცვის მაღალჩინოსანთაგან მან ყველაზე მეტი გააკეთა პრობლემის ობიექტურად გადასაწყვეტად. მისი დახმარების გარეშე, არ გვექნებოდა სრული ინფორმაცია ჩვენთვის ესოდენ საინტერესო საკითხებზე.

ბატონო პრეზიდენტო! გამოვიყენებ ჩვენს ხელთ არსებული ყოველგვარი შესაძლებლობა, რათა ვითარება გაგვეკეთვია: საკითხი მკვეთრად ჯერ კიდევ 2001 წელს დავაყენებთ, როდესაც განაცხადებთ, რომ, ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარების გამო, პროექტი მთლიანად ანტიეკოლოგიურია და მოცემულ შემთხვევაში საქმე გაეკეს ეკოლოგიურ დანახაულობა.

იცის რა რთული ვითარება "კოლიანას" უზანზე, ინვესტიორი უარს ამბობს ტრადიციული, დეტალური მეთოდების გამოყენებით, მენყრული ფერდების მდგომარეობის კვლევაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მათთვის სასურველი დადებითი პასუხის მითება, პრაქტიკულად, გამოიჩნებოდა.

ზემოაღნიშნულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, მწვავე კითხვებით გაიზიანებულმა ედვარდ ა. ჯონსონ III-მ განაცხადა, რომ **BTC Co**-ს საქართველოში უკვე 100 მლნ დოლარი აქვს დახარჯული ყოველგვარი პრაქტიკული შედეგების გარეშე და ქართული მხარე ვალდებულია, მეგუფოს რისკს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვსურს, რომ ვარდების რეკლამის ტალღაზე მოსულმა, მოსახლეობის წილითი დატყუარეობა თქვენმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედის მიერ დამეუბლი შეცდომებზე აიღოს პასუხისმგებლობა.



ბაქო-თბილისი-ჭეიჭანის ნავთობსადენის სიგრძე შეადგენს 1750 კილომეტრს (მათ შორის, საქართველოში - 248 კმ-ს, აზერბაიჯანში - 442 კმ-ს თურქეთში - 1060 კმ-ს). ხოლო მისი დამატერია: საქართველოს მონაკვეთზე 46 დიუმი (1168,4 მმ), აზერბაიჯანსა და თურქეთში 42 დიუმი (1066,8 მმ). 2005 წლიდან ნავთობსადენმა დღეში უნდა გაატაროს 800 000 ბარელი (127000 ტ) ნავთობი - ანუ წელიწადში 46,4 მლ. ტონა. საპროექტო სიმძლავრეზე გასვლის შემდეგ კი, 2007-დან დღეში - 1000000 ბარელი (160000 ტ) ანუ წელიწადში 58 მლ. ტონა.

საპარამაქლოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლის ირასიმ ქალბაქაიანის კომენტარი:
- გვევალება კორდინაცია საერთაშორისო სავაზიონი ინსტიტუტებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის; შესაძლოა, ამ წერილის ავტორები განაწყენებული არიან იმაზე, რომ სხვები მოხვენებ პროექტში. ეს ზომი ის მეცნიერებათა კავშირება, რომელიც მონახილეთა ის იღებდა ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპედიციებში. აბსოლუტურად ყველა ზონა მოვატყობ, ყველაწიანი დასკვნა გააკეთებთ. საერთოდ, მარშრუტის არჩევაზე და ნავთობის ავტორებსაც და თქვენც ვგეტყობთ, რომ ინტერესთა დაგვანას არჩევის არა ქართული მხარე, არამედ ინვესტიორი. საქართველოს ხელისუფლებამ ყველა დეტალი იცოდა. როცა უშიშროების საკითხებზე მიდგა საქმე, უშიშროების საბჭოში ყველა ძალადგანი უწყების წარმომადგენელი დაიბარეს და სიტუაცია გააცნეს. ქართულმა მხარემ იცოდა ისიც, რომ ზღაპრულად თანახმა იყვნენ ინვესტიორს შეეძლო ინტერესთა დერფნის შეცვლაც კი.
რაც ჩვენ ვიცით, იმას მშენიერად ვაკონტროლებთ. დანარჩენისთვის, მსოფლიო ბანკმა დაიბარვა ექსპერტები და მრჩეველები. ყველა უცხოელია და თანაც საქონად გამოვიდა ამ საკითხებში. მარშრუტის შეცვლის მოთხოვნა არც ყოფილა და ამას ვერც ვერაიენ დააყენებდა. მთავარია პირობები შესრულდეს. ისე, მცირედი კორექტირება დერფნის ფარგლებში მართლაც მოხდა უკვე. წურავის გვერება, რომ კონტროლი არ არსებობს, ან ჩვენ არ ვეზიზრებით "ბი-პი"-ს ყველი. ყველა ნაბიჯი კონტროლდება.

მიგვანია, რომ BP-სთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში, შესაძლებელია ქვეყნისათვის არაერთი სასიკეთო საქმის კეთება, რისთვისაც აუცილებელია ურთიერთდამოკიდებულების მკაფიოდ გარკვევა.

ამჟამად მუშაობს სამთავრობო კომისია, რომელმაც პრემიერ-მინისტრს უნდა მოახსენოს ნავთობსადენის მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვანია, რომ, ვითარების ობიექტური შეფასების მიზნით, თქვენთვის საინტერესო იქნება თანამაზრე სპეციალისტთა ოფიციალურისაგან განსხვავებული პოზიცია, პროექტის ცალკეული ასპექტების შესახებ.

ნავთობსადენის უსაფრთხო მშენებლობისა და საიმედო ექსპლუატაციის შესაძლებლობა გეოლოგიურ გარემოში - საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობები

ნავთობსადენი ბორჯომის ხეობაში გადის თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდის ფარგლებში. აქ იგი კვეთს მდინარეების - ბორჯომულას (მომარა და კუმისკა), დავროს და მისი შენაკადის სათავეებს. მილსადენის განთავსების ზოლის მიოლი ტერიტორია (მონაკვეთი ცხრა-წყაროს უღელტეხილიდან, მდინარე მტკვრის გადაკვეთამდე 175-221 კმ, მათ შორის მდ. ბორჯომულას წყალმტკვრები აუზი: ცხრაწყაროს უღელტეხილი "კოლიანას" უბანი (175-192 კმ) ინტენსიურად არის დანაწერებული ტექნიკური რეგულირება და გამოირჩევა მაღალი სიყრდნობით (მომარა და კუმისკა), ფართო აქტივობით; როგორც შედეგი, ფართვდა გავრცელებული გეოლოგიური პროცესები. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული სახითაა ადგენილ წარმოდგენას არამედრადი, დასუსტებული ქანებით აგებული ფერდები. სწორედ ასეთი ვითარება "კოლიანას" უბანზე, რომელიც "მაიკობის წყებით" არის აგებული და ქედის თხემის მხრიდან ნაღბით წყლებით და სპონდერული ნალექებით იცლირება. აქ რამდენიმე მეტრის სიღრმის მქონე მტკვრისაში ფერდია, მენყრული მოყვლების მკაფიოდ გამოხატული ნიშნები; ამასთან, შესაძლებელია მენყრული სხეულის დაცურების აბალი სიბრტყეების წარმოქმნა რელიეფის ზედაპირის და ადგილობრივი ეროზიის ბაზისის ნიშნულზე შორის სხვაობათა ინტერვალის, პრაქტიკულად, ნებისმიერ წერტილში.

ასეთი პროცესის პროგნოზირების მიზეზად, შესაძლებელია, ტექნიკური ფაქტორიც იქცეს. მაგალითად, მძიმენინიანი ტექნიკის მოძრაობა, მილსადენის ვიბრაცია მისი დინამიური დატვირთვების რეგესშია და ა. შ.

უფრო რთული და არახელსაყრელი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მერჩევა ნავთობსადენის გატარებისათვის საქართველოს პირობებში, უზნალოდ, შეუძლებელი იყო.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გეოლოგიური გარემო ვერ უზრუნველყოფს ნავთობსადენის უსაფრთხო მშენებლობას და მისი სტაბილური ექსპლუატაციის პირობებს; ეს რომ ასე არ არის, უნდა დამტკიცებინა პროექტის საინჟინრო ანგარიშის საშუალებით; ახუ, საჭირო იყო დეტალური, პირდაპირი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რაოდენობრივად შეფასებული ყოფილიყო მენყრულსაში ფერდის მდგომარეობა.

აღნიშნულის ნაცვლად, ინვესტიორ გეთავაზობს ფერდის მდგომარეობის შეფასების არაპირდაპირ მეთოდს, რომლის მიზნადიცაა, აპრობირებად უშვებს, რომ "კოლიანას" უბანი ზღვრულ წინასწარულ მდგომარეობაშია და ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში იგი გაატარებს

ექსპლუატაციაში გადაცემის მნიშვნელოვან გადაცემას გამოიწვევს.

არსებულ ვითარებით ინვესტიორი იძულებულია, წარმოადგინოს პროექტი, რომელიც ნებისმიერი ხერხით იქნება დასაბუთებული მენყრულსაში ფერდის უსაფრთხოება და ხელისუფლება ვალდებული იქნება, მოინახოს იგი.

რეალბობას, პრაქტიკულად, ანგარიშად არ გაუგება. ასეთ გამოყოფაზე მდგომარეობამდე კი ქვეყანა ყოფილი ხელისუფლების უზნაობასთან ერთად პროექტის შედეგის ელემენტარული წესების უგუ-ველყოფმად მიყვანა.

საინჟინრო შეცდომები უკვე დაბრუნების საწყის სტადიაზე იყო დამეუბლი: არ ჩატარდა კონსერნტუნარიანი განთავსების აეროგეოლოგიური რეკუპების შეადგენა, შესაბამისი მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვები და გეოტექნიკური კვლევები. არაკონდიფორი პროექტის როგორც საიმეო, ისე - საპროექტო ნაწილობა.

საქართველოს მშენებლობის პროექტის სახელმწიფო ექსპერტის მთავარ სამართლებრივ 2003 წელს სსსკ-ს მიერ შესაძლებლად გადაცემა გარემოზე შესაძლი ზემოქმედების პროექტი, რომელიც, პრაქტიკულად, წარმოადგენს არა მშენებლობისთვის გათვალისწინებულ-გეოგრაფიულ ცნობარს და, ბუნებრივია, რომ იგი ვერ შეფასდებოდა როგორც მშენებლობისთვის გათვალისწინებული დოკუმენტი. სამართლის ხელმძღვანელის ბ.მურულის განცხადებით, შესაბამისი დასკვნის მინარჩის გაცემის გაჭნეურობის მითითებით აკრძალულია(!).

საქართველობა მოქმედი დაბრუნების სახელმწიფო ექსპერტის მთავარი სამართლებრივ 2003 წელს სსსკ-ს მიერ შესაძლებლად გადაცემა გარემოზე შესაძლი ზემოქმედების პროექტი, რომელიც, პრაქტიკულად, წარმოადგენს არა მშენებლობისთვის გათვალისწინებულ-გეოგრაფიულ ცნობარს და, ბუნებრივია, რომ იგი ვერ შეფასდებოდა როგორც მშენებლობისთვის გათვალისწინებული დოკუმენტი. სამართლის ხელმძღვანელის ბ.მურულის განცხადებით, შესაბამისი დასკვნის მინარჩის გაცემის გაჭნეურობის მითითებით აკრძალულია(!).

მთავრობის ექსპერტთა მონახილობით. საქართველოს მთავრობას ჰყავს, აგრეთვე, მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებული ტექნიკური მრჩეველი.

ერთი შეხედვით, ასეთი სოლიდური მექანიზმის არსებობის გამო, ჩვენ ყველაში მშვიდად უნდა ვიყოთ და ყოფილი ხელისუფლების მაღლობა გადავუხადოთ; რეალურად კი შედეგი სულ სხვაგვარია - მენყრული უბნების გადაკვეთების პროექტებს ჯერ კიდევ წინასწარი ენოდება, თუმცა გაუგებარია - რატომ; სამუშაოთა წარმოების მოცემულ ეტაპზე უკვე საბოლოო ტექნიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს წარმოდგენილი (ე. წ. "მუშა ნახაზების" სტადია), მით უმეტეს, რომ დამატებითი კვლევები გასულ წელს დამთავრდა და ახალი ინფორმაციის პროექტის ავტორები ვეღარ მიიღებენ.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ "შენიერთა (სპეციალისტთა) გეოლოგიურ ქვეკომისიას" ისე შეაფასებრნეს

ამედ როგორც მისი კომპანიაში.

რაც ემუხება, უშუალოდ, მშენებლობისათვის გათვალისწინებული დაბრუნებების სპეციალისტებს და განსხვავებულ აზრის მქონე მეცნიერებს, მათ სსსკ საქმიანი ვითარების და პრინციპული პოზიციის ილუზიის შესაქმნელად ემიზილურად იმეგვდა.

ამ უკანასკნელთა პრეგნოზები, როგორც წესი, მართლდებოდა, მათ ინჟინრულად დასაბუთებულ კითხვებზე BP-ის პასუხის გაცემა სწორად უჭირდა და როდესაც აცნობიერებდა დამეუბლი შეცდომას, აცხადებდა, რომ მას საკუთარი სტანდარტებით მუშაობის უფლება აქვს მინიჭებული და დალდებული არ არის, ქართული მხარის კითხვებს უპასუხოს.

ასე იყო ბაქო-თბილისის ნავთობსადენის მიერ დასაყვლი საქართველოში მდინარეების გადაკვეთების პროექტების განხილვისას; შედეგად მივიღეთ არასრულყოფილი წაპირგასამარტებელი ნაგებობანი, დამეუბლი ფერდები, დატბორილი სავარგულები, ათულობით მეტრებზე გამომდებული და ჰაერში დაკიდებული ნავთობსადენი.

ბუნებრივი პირობების სირთულის და ნავთობსადენის ექსპლუატაციის უფრო ინტენსიური რეჟიმის გამო, ვფიქრობთ, რომ ბევრად მძიმე ვითარება იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჭანის ნავთობსადენის ბორჯომის მონაკვეთზე. დღემდე წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია სწორედ ასეთი დასკვნის ვაკეთებისკენ გვიბიძგებს.

სამწუხაროდ, ქართულ მხარეს სერიოზულად არასოდეს უცდია ობიექტური მდგომარეობის გარკვევა.

მაგალითისათვის, შეიძლება ითქვას, რომ სსსკ-ს, მშენებლობისთვის გათვალისწინებული ვითარების შესწავლის მიზნით, თანამშრომლობისათვის არ მიუწვევია დაბრუნების გამოცდილების მქონე არც ერთი ინჟინრო-გეოლოგი, თუმცა სწორედ ასეთი სპეციალისტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა მენყრულსაში უბნების მდგომარეობაც და **BTC Co**-ს მიერ წარმოდგენილი პროექტებიც.

მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას, თუ რა შეიძლება მოხდეს "კოლიანას" უბანზე: უკეთეს შემთხვევაში, მენყრულსაში ფერდი ეროზიის ბაზისის მხრიდან უკუსვლითი მიმართულებით შედარებით მცირე მოცულობის მასებით დამეუბრება და ინვესტიორი მას მოხსნის. ეს პროცესი გავრცელებდა წლების განმავლობაში, ვიდრე კოლიანას მთის ჩრდილო ფერდამდენიმე მეტრებზე, ათულობით მეტრ სიღრმეზე არ მოიჭრება და მის ადგილზე საინჟინრო კონსტრუქცია არ ჩაიდგება.

ბაკურიანსა და ციხისჯვარში ჩასული დამეუბნებელი გარემოს დათვლირებისა ზემოთ, მთის კალთებზე აღმოაჩენენ გაუგებარ საგანს, რომელიც მორიდან, ალბათ, სადამ-ჰუსეინის ერთ-ერთი სასახლის ნანგრევებს ემგავება.

უარეს შემთხვევაში კი, რამდენიმე მილიონი ტონა წონის მქონე მენყრული მასის დიდი ნაწილი ერთიანად მოხეცება და ნავთობსადენი დაზიანდება. სერიოზული ავარიის შემთხვევაში, დაიღვრება 8 000 ტონამდე ნავთობი.

თუმცა, არც პირველ შემთხვევაშია გამორიცხული ნავთობის შედარებით მცირე რაოდენობით დაღვრა.

მსჯელობის დასრულებისას მივიღეთ ართ დასკვნამდე, რომ პროექტი ვერ ასაბუთებს მენყრული პროექტისაგან ნავთობსადენის დაცვის საიმედოობას, რის გამოც, ნავთობის დაღვრის რისკი ბორჯომის ხეობაში დასაშვებზე მაღალია.

მთისქვეშა წყლების დაბინძურების საერთო - ჰიდროგეოლოგიური პირობები

ნავთობსადენი საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ისეთ უბანს კვეთს, სადაც, ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, მინისქვეშა წყლების დაბინძურების საფრთხე განსაკუთრებულად მაღალია. ასეთი მძიმე ვითარების ფონზეც კი, აღმოვითება და პროექტის გრძნობას ინვესის ფაქტორი, რომ ნავთობსადენმა ბორჯომის ხეობის სამხრეთ ნაწილში, მდინარე ბორჯომულას წყალმტკვრები აუზის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს 17 კმ-ის სიგრძის მონაკვეთი, ცხრაწყაროს უღელტეხილის თხემიდან "კოლიანას" გადასასვლელამდე (175-192 კმ.).

ნავთობსადენის დაზიანების შემთხვევაში, რომლის მაღალ ალბათობაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ნავთობით დაბინძურების რეალური საფრთხე ემუქრება ბორჯომის ხეობის, როგორც ზედაპირულ, ასევე, მინისქვეშა მტკნარ და მინერული წყლებს, მათ შორის, სავეყნად ცნობილ "ბორჯომის" მინერალურ წყალსაც.

ზედაპირული წყლების დაბინძურების შესაძლებლობა სადავო არ არის, რადგანაც ნავთობსადენი ორჯერ კვეთს მდ. ბორჯომულას სათავეებს, რომლებიც განიცირთება განსახილველი ტერიტორიის ყველა, დიდი თუ მცირე ნაკადული და დროებით ზედაბრუნებული ნაკადები.

საქ. ტექ. უნივერსიტეტის დირექტორის 80 წლისაგანდები მიმდინარე მომართა საუბილო კრებულში ("მეცნიერება და ტექნოლოგიები" N10-12 2002 წ.) პროფ. უ. ზაიადაძის, გეოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. გაბერაძის და მ. მარედიძის მიერ, ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებულია ე.წ. ბაკურიანის ლავური ვიზანციასთან დაკავშირებული მინისქვეშა ნაკადის ნავთობით დაბინძურების უცნობიერად ფაქტი (იხ.ნახ. I და ნახ.2).

ჰიდროდინამიკური გაანგარიშებების საფუძველზე, დატკიცებულია, რომ მილსადენიდან ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, გარდუვალია ზემოსხენებელი ლავური ფორმაციასთან დაკავშირებული დამეუბნებელი ნაგებობანი ჯგუფის დაბინძურება, რომელიც განლაგებულია სოფლებში: საღვრის, ცემის, ტბის და სხვათა მდგომარეობში. ეს წყაროები კი მდ. ბორჯომულას და გუჯარეთის წყლის ხე-

თამარ ლახანიძა: "რომ შეგვეძლოს, მარშრუტს შევცვლიდით"

პირველი ბავარდიდან

წერილი. რედ.) ავტორებს მამინაც შეეძლოთ. მე ვთვლი, რომ საზოგადოებას ბევრად უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმო ამ საკითხისადმი, მეტი წინააღმდეგობა უნდა გაენია და შედეგს მიაღწევდა.

- დღეს ეს არ შეიძლება?**
- დღეს ხელშეკრულება ძალაშია შესული. მისი დარღვევა კი საერთაშორისო სკანდალში გავგზავნეს.

- და ამას უნდა შევნიროს ბორჯომი?**

- ეს არ არის სწორი შეფასება. მე ვთქვი, რომ რისკის წულამდე დაყვანა შეუძლებელია, მაგრამ, დღევანდელი მდგომარეობით, ის მინიმალურია.

- რომელ მარშრუტს აირჩევდით თქვენ და მთაწარმა?**

- ყარაყაის, ახალქალაქს, ნებისმიერს, ბორჯომის გარდა.

- ინვესტორს არ შეეკითხებოდით?**

- რა თქმა უნდა, შეეკითხებოდით. მის გარეშე, რამის გაკეთება გამოირცხვლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მისი ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული.

- **ინვესტორი ამბობს, ხელშეკრულებით ნაკისრი მაქვს ვალდებულება, რომლის თანახმად, ყველაფერი, რასაც დავარღვევ, სანაყის მდგომარეობაში უნდა დავაბრუნო; ყარაყაი ისეთი ქედია, ნორმების მიხედვით, იმის გა-**



თამარ ლეხანიძე: "პირობები უნდა შესრულდეს ამას წყალი არ გაუვა."

ზოიძა ზაპაიჩი, ლოზო

ბარეომს დასვოს სამინისტრომ ბაქო-ჭაიქანი შაარარა

პირველი ბავარდიდან

მაგრამ, როგორი გზა აირჩიეს ჩვენთან; მარშრუტი რამდენიმე არსებობდა - "ბორჯომი", "ყარაყაი", "ახალქალაქი". ყარაყაის მარშრუტი მენავთობეებმა სიძვირისთვის დაიწუნეს, ახალქალაქი - არასტაბილურობის გამო. დარჩა ბორჯომი. "მუსიკას ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის". შევარდნამეს ეს დიდად არ გაუბოროტესტებია. თანამოქალაქების აზრის ნაცვლად, ამერიკული დოკუმენტი ნარუდგინა უშიშროების საბჭოს. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, სხვათა შორის, წყარო კონფიდენციალურობის დაცვას ითხოვს და, შესაბამისად, მას ვერ გაქვევნიებთ, თუმცა ვიტყვით, რომ სამარშრუტო რაიონები შესწავლილ იქნა სოციალური მდგომარეობის, ეთნიკური შემადგენლობების, კრიმინალენული მდგომარეობის, უსაფრთხოების, მოსალოდნელი დივერსიების რისკების და სხვათა გათვალისწინებით. ეს კვლევა საზოგადოების სასუფაუროზე არ გამოუტანიათ. ის აშშ-ს სახელმწი-

ფო დებარტამენტის, აშშ-ს საელჩოს და აშშ-ს სპეცსამსახურების წარმომადგენლების მიერ იქნა ჩატარებული და მხოლოდ მათ წარედგინათ, ვისაც შევარდნაძის მმართველობის დროს პროექტის ჩაგდება-არჩადგება ხელეწიფებოდა.

ერთი სიტყვით, პროექტი გაგრძელდა, თუმცა წინ მას სკანდალი ელოდა. ნავთობსადენს მეწყერი დაახიანებს, ნავთობი დაიღვრება, ბორჯომი დაბინძურდება, მინერალური წყალი აღარ გვექნება, ტყე გაიჩნდება - პრეტესტი საზოგადოების მხრიდან, სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლო იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოება ფხიზელი უნდა იყოს. სკანდალის პიკი მარშანწინ გარემოს დაცვის სამინისტრომ იტვირთა, მინისტრი ჩხობაძე წაიყვანეს... მოსაზრებები მაშინ ბევრი გაჩნდა. ზოგი ამტკიცებდა, ჩხობაძეს ძალით მოაწვრინეს ხელიო, ზოგს მიაჩნდა, რომ ჩხობაძეს თავად გაუჭირდა არჩევანის გაკეთება ნავთობსა და ბორჯომს შორის; სხვების აზრით, შოუ მხოლოდ ჯორგენაძის ძლიერების აფ-

იშირებას ემსახურებოდა. თავად ჩხობაძე თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მიზანს მიაღწია და ინვესტორებს მკაცრი პირობები წაუყენა. მინისტრმა არც მწვადი დაწვა, არც შამფური, სამაგიროდ, ვერც ხალხის გული მოიგო, ვერც პროექტის ავტორების.

მაინც რას ნიშნავდა მკაცრი პირობები? ის, რომ საქართველოს საკუთარი სტადარტები არც ერთ სფეროში არ გააჩნია, დღესავით ნათელია. ისიც ვუწყით, როგორი "წარმატებით" იყვნენ, ენ საბჭოურ "გოსტ"-ებს და ამისი არც არავის რცხენია. ოღონდ, არავინ იცის, რაში გვარგია საბჭოური წორმა, რომელიც ამბობს: თუ მიღს მინაში გაიყვან, ის 33 მეტრის სიღრმეზე უნდა ჩაიგზაო, თორემ ზედ წარგავის გაკარება არ შეიძლებაო. ეს მაშინ, როცა მიელი მსოფლიო ასეთ ზღვარად მხოლოდ რვა მეტრს მიირცეს. გამოდის, ევროპას არც მილსადენები გააჩნია, არც - ტყე. საბჭოური "პოზონდრა", არსაკვირი არც არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის მინის უზარმაზარი ნაწილი აუთვისებელია. მაგ-

დაჭრა მოგვიწევდა, რასაც ველარ აღვადგენდიო. ამაზე რას იტყვიო?

- მაგრამ არ იქნებოდა რისკი ბორჯომში. ხომ შეთანხმებით, რომ ყარაყაის მთაზე მნიშვნელოვანია ბორჯომი? ეს ინვესტორს ხელს იმიტომ არ აძლევდა, რომ მთის გადაჭრა ბევრად უფრო მეტ თანხასთან იყო დაკავშირებული.

- ინვესტორები ამბობენ, რომ ისედაც ყველაზე გრძელ და ძვირიან მარშრუტზე ვადიან?**

- ბორჯომით მარშრუტის გატარება ყველაზე იაფია, დამერწმუნეთ.

- ახალქალაქით?**
- ახალქალაქი მათ კატეგორიულად არ სურდათ, რუსული სამხედრო ბაზისა და არასტაბილური მდგომარეობის გამო.
- და მაინც, საფრთხე გვეშუქრება თუ არა?**

- ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, რისკი მინიმალურია. თუმცა, ჩვენ ჩვენსას მაინც ვითხოვთ. პირობები მკაცრად უნდა შესრულდეს. მოცემული პირობებიდან ნაწილი, კერძოდ მეცხრე პუნქტი, ბოლომდე არ არის შესრულებული. სწორედ ამიტომ, დღეს დღითი პროექტი შეჩერდა იმ დრომდე, სანამ პროექტის ყველა პირობას არ შეასრულებენ.

- სკანდალი?**
- პირობები უნდა შესრულდეს. ამას წყალი არ გაუვა.

მსოფლიო ბანკი პროექტის შესრულებით კმაყოფილი არ არის

პირველი ბავარდიდან

ამყამად ტექნიკური მრჩეველი თვლის, რომ პირობა შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე მცირე დეტალის შეთანხმების შემდეგ: საქართველოს მხარისათვის გადმოსაცემია "დაკვირვების მეთოდოლოგის" აღწერის შემცველი საბოლოო ანგარიში და BTC-მ უნდა განახორციელოს საკირის მონაცემთისათვის მენყრული ფერდობის სესიმური დატვირთვის პირობებში მდგრადობის ანალიზი შესაბამისად, პირობის დამტკიცების ტექსტი უნდა შეიცავდეს მოთხოვნას, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მრჩევლების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში "მშენებლობისას დაკვირვების მეთოდის გამოყენებით" საბოლოო პროექტის შეთანხმებისას. გარდა ამისა, ტექსტი უნდა შეიცავდეს კოდიანაზე დრენაჟის სისტემების დანერგვისას ტექნიკური მრჩევლის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების გათვალისწინების მოთხოვნას.

ბიომრავალფეროვნება

გარემოსდაცვით მრჩეველთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ექსპერტებთან და სსსკ-თან შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებები, რომელთა საფუძვლზე, გარემოსდაცვითი მრჩეველი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოს, შესრულებულად ჩათვალოს ეს პირობა; შეთანხმებული პროგრამების განხორციელება მონიტორინგის საგანია.

მდინარეების და ხევიების გადკვეთიპი

ეს პირობა, ტექნიკური მრჩევლის აზრით, შესრულებულია.

მინისძევაა ყელაბის დასვა

ეს პირობა შესრულების პროცესშია და მისი შეუსრულებლობა არ ზღუდავს მშენებლობის დაწყებას.

გარემოსდაცვითი მრჩეველი ითხოვს, რომ სანიტარული ზონების განსაზღვრისას და გადაკვეთის პირობების შეფასებისას BTC Co-მ ევროკავშირში ან ჰოლანდიაში მიღებული წესებით იხელმძღვანელოს. ტექნიკური პროექტი, მონიტორინგის რეჟიმი და დაბინძურების რისკები ნოდერსდებში მიღებულ კრიტერიუმზე უნდა აკმაყოფილებდეს. BTC Co აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

გარემოსდაცვითი და ტექნიკური მრჩევლების აზრით, ეს პირობა შესრულებულია

რეაზირება აპარიულ ისტრუქციაზე (ნავთობის დაღებრაბა)

BTC Co-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში გარემოსდაცვითი მრჩე-

ბაქო-თბილისი-ჭაიქანის ნავთობსადენი ბორჭომის ხეობის გარეკეთა დაუწყებულა. იგი უნდა გადაიტანონ ან ახალქალაქის ან ასპინძის ("ყარა-ყაიას" ვარიანტი) მიმართულებით.

ბიორა ბავარდიდან

ოაბში მცხოვრები მოსახლეობის საარსებო გარემოს ორგანული, განუყოფელი ნაწილია.

ამავე საბადოზეა განლაგებული კურორტ ბორჯომის წყალმომარაგების სისტემა და მტკნარი წყლის ჩაქოსხმის ობიექტები.

ამგვარად, მდ. ბორჯომულას წყალშემკრები აუზის მინერგოლოგიური პირობების თავისებურებების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებულია, რომ "ცხრანყარო-კოდიანას" მონაკვეთზე ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილი სასმელი წყლის გარეშე დარჩება ათეულობით წლებს მაძიებელ. შექმნილ მდგომარეობაში საარსებო გარემონართმეული მოსახლეობა იძულებული იქნება, მიატოვოს საცხოვრისი. მდ. ბორჯომულას მდ. გუჯარეთის წყლის ხეობეში გაუკაცინებულა.

რაც შეეხება "ბორჯომის" მინერალური წყლის საბადოს, მისი ინფლტრაციული გენეზის სხვადასხვა თაობის ავტორთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დასაბუთებულად ითვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ "ბორჯომის" მინერალური წყლის კიბითრი შედგენილობის ფორმირებაში წამყვანი პროცესი არის არადრმა ცირკულიაციის მტკნარი და სუსტად მინერალიზებული წყლების შერევა, ღრმა ცირკულიაციის მაღალი მინერალიზებულ მინისქვეშა წყლებთან (იხ.ნახ.3). მაშასადამე, "ბორჯომი", როგორც სარეალიზაციო პროდუქტი, არის მშდეგი სხვადასხვა გენერაციის წყლების შერევისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპლუატაციო ტაბორილების გაკალების სიერტებში აუცილებლად ექნება ადგილი ნავთობით დაბინძურებული მდინარის წყლისა და მასთან ჰიდრავულკონადა მჭიდროდ დაკავშირებული, ალუვიური გრუნტის წყლების შერევას, დიდი სიღრმიდან მიგრირებულ მინერალურ ფულიდიან; ანუ ამ უკანასკნელის დაბინძურება დაღვრილი ნავთობით, ასევე, გარდაუვალი მოვლენაა. არავინ უნდა იფიქროს, რომ "ბორჯომის" დაბინძურებასთან დაკავშირებული ეს მოსაზრება ლიტიონ განცხადებდა. არა! იგი ვთქვნიდა "ბორჯომის" საბადოზე ჩატარებული მრავალწლიანი ჰიდრავოლოგიური კვლევების მიდარე ფაქტობრივ მასალას, საბადოს საერთო ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური პირობების ღრმა მეცნიერულ ანალიზს, წინამდებარე წერილზე ხელმომწერ პიდროგოლოგიათა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას. წერილის მიზანდასახულობა და დაბინძურება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულად იქნას განხილული სათანადო სპეციალური არგუმენტაცია, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, გამოეთქვამის სრულ მზადყოფნას, დავიცვათ ჩვენი

ობიექტური პოზიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ, მდ. ბორჯომულას წყალშემკრები აუზის ჰიდროგეოლოგიური პირობების თავისებურებების გამო, ნავთობსადენის გატარება "ცხრანყარო-კოდიანას" მონაკვეთზე დაუშვებელია. ნავთობსადენის ასეთი სახით მშენებლობა, საპროექტო შეცდომა კი არა, ისეთი დანაშაულია, რომლის გამოც, მომავალი თაობების წინაშე პასუხი მკაცრად მოვუეთხოვება.

ბიომრავალფეროვნება

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაცემებით, კავკასია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება, რის გამოც, იგი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე, დედამიწაზე შერჩეულ 25 რეგიონს (ეგრეთ ნოდებულ "ცხლ წერტილთა") მიეკუთვნება.

კავკასიაში კი ბორჯომის ხეობაცხოველად და მცენარეთა სამყაროს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ერთობლიობითაა გამოარჩეული. შესაბამისად, იგი მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მატარებელია.

ნავთობსადენის ტრასის ბორჯომის მონაკვეთის ("ცხრანყარო-კოდიანა-საკირ") გავლენის ფარგლებში, უნიკალური ბიომრავალფეროვნების არეალია მოქცეული; აქ გავრცელებულია ლანდშაფტები განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივი დაცვის სტატუსის მქონე მცენარეულობით, მათ შორისაა სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის და საკურორტო ზონის სუბალპური ტყეები.

განსახლული ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების დაცვას მოითხოვს, აგრეთვე, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN).

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გშშ-ს პროექტის მიერ დეკლარირებული საქვეყნოდ აღიარებულ დევიზი, რომლის მიხედვითაც, ეკოლოგიური პრიორიტეტი ყველა სხვა, მათ შორის, პოლიტიკურ პიორიტეტზე უპირატესობის მქონეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მოვლემებზე, ჩვენ მიყვდით დასკვნამდე, რომ განხილული პროექტის არსებული სახით რეალიზაცია ბორჯომის ხეობას კატასტროფით ემუქრება, რის გამოც, ვაცხადებთ, რომ

ნავთობსადენის მიერ ბორჯომის ხეობის გადაკეთა დაუწყებულა. იგი უნდა გადაიტანონ ან ახალქალაქის ან ასპინძის ("ყარა-ყაიას" ვარიანტი) მიმართულებით.

ბუნებრივია, ჩვენი განცხადება კმათოს საფუძველზე: ოპონენტთა ერთი ნაწილი გულწრფელად შემოთვლება და დეცქედება გამოხატული რადიკალური პოზიციის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით; სხვანი კი ყოფილი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილი საკითხის

მართებულობის დასაბუთების შეცდებთან ნებისმიერ, პროექტი საერთოდ ჩაიშა. მექმნილი პრობლემის ავტორები დღესაც სარგებლობენ სერიოზული გაგულენით სამთავრობო წრეებში და ფლობენ მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსებს. მათ მიერ წლების განმავლობაში შექმნილი ინტერესთა გრუფები არქთურად, აგრესიულად დაიცვავენ არსებულ საპროექტო გადაწყვეტილებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ,

რომ თუ ნავთობსადენი არ გაივლის ბორჯომის ხეობაში, პროექტი საერთოდ ჩაიშება. მშენებლობის დამთავრების ვადა, ბუნებრივია, გადაინეწს, მაგრამ მისი რეალიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივები იმდენად ძლიერია, რომ იგი აუცილებლად განხორციელდება.

ქვეყნის ინტერესებით თამაში და დამრთუფელ ლაბორინთებში მტკიცებით ხალხის ნებაზე ძალადობა, არჩევანის გარეშე, არჩევანის შეთავაზება - "ბორჯომის ხეობის ან მსხვერპლად შეწირვა ან და-

მოუკიდებლობა" - უნდა დამთავრდეს. მიგაჩნია, რომ უახლოესი ისტორიის პნელმა პერიოდმა უკვე ჩაიარა და ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებების ერა დაიწყო.

P.S. აღნიშნულ პროექტს სხვა სერიოზული ნაკლებნებებიც აქვს. მაგალითად: წალკის რაიონში, ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებლობის გამო, მოქისქევმა მტკნარი წყლების სტრატეგოული მარაგისათვის დაბინძურების სერიოზული საფრთხის არსებობა.

^[1] ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაცემებით, კავკასია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება, რის გამოც, იგი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე, დედამიწაზე შერჩეული 25 რეგიონს (ეგრეთ ნოდებულ "ცხლ წერტილთა") მიეკუთვნება

^[2] ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაცემებით, კავკასია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება, რის გამოც, იგი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე, დედამიწაზე შერჩეული 25 რეგიონს (ეგრეთ ნოდებულ "ცხლ წერტილთა") მიეკუთვნება

^[3] ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაცემებით, კავკასია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება, რის გამოც, იგი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე, დედამიწაზე შერჩეული 25 რეგიონს (ეგრეთ ნოდებულ "ცხლ წერტილთა") მიეკუთვნება

24 საათი

კონფლიქტის ანატომია

"24 საათი" აგრძელებს ცნობილი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის წერილების გამოქვეყნებას იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშვა ქართულ-ოსური კონფლიქტი, როგორია ისტორიული და სოციალური რეალობა, რატომაა აბსურდული საუბარიც კი, "გახლეილ ოს ხალხზე" და მათ გაერთიანებაზე. დღეს ვთავაზობთ პუბლიკაციათა სერიის მესამე წერილს (დას.იხ. "24 საათი" N170, 171).

ანზორ თოთაძე
 პროფასორი
საპარტავლო სპოროის, ჰანაოთალოშია და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა პოლიტიკის დეპარტამენტის დეპუტატი
საფარტავლო უფროსი

ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ საგუ-ლისხმო ფაქტებს, რომლებიც ნათ-ლად გვიჩვენებენ საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ქართველი ხალხის პატივისცემას, მათდამი მზურნეელობას, იმას, რომ "მახ-ლობელთა ჩუნთა მთიელთა ოს-თა", როგორც მათ მე-17 საუკუნის ერთ-ერთი წყარო მოიხსენიებს, სა-ქართველოში ცხოვრების მშვენიე-რი პირობები ჰქონდათ და მათი კულტურა ვითარდებოდა.

1988 წელს "სამხრეთ ოსეთში", რომლის მოსახლეობა 6,4-ჯერ ნაკ-ლები იყო ჩრდილოეთ ოსეთის ავ-ტონომიური რესპუბლიკის მოსახ-ლეობაზე, ყოველ ათი ათას მცხოვ-რებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდიოდა, 2-ჯერ მეტი ტი-რაჟით, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.

ჯანმრთელობის დაცვის განვი-თარების ძირითადი მაჩვენებლები ყოფილ ოლქში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და მთლიანად საქართველოში. მაგა-ლითად, მოსახლეობის ათი ათას სულზე, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში, 135,4 საავადმყოფო საწო-ლი მოდიოდა, 65,9 ყველა სპეცია-ლობის ექიმი და 142 საშუალო სა-მედიცინო პერსონალი. საქარველ-ლოს რესპუბლიკის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალი იყო და შე-საბამისად 110,6, 58,0 და 124,9-ს უდრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წელს, ყოფილ საბჭოთა კავში-რის ყველა რესპუბლიკასთან შედარ-რებით, აღნიშნული მაჩვენებლები ოლქს გაცილებით უკეთესი ჰქონ-და (საავადმყოფო საწოლების უზრ-რუნველყოფის გარდა).

მუდმივი სკოლამდელი დაწესე-ბულებებით ბავშვთა უზრუნველ-ყოფის დონე უკეთესი იყო ოლქში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში. კერძოდ, 1988 წელს მუდმივი სკოლამდელი დაწე-სებულებებით ყოფილ ავტონომი-ურ ოლქში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ასაკის ბავშვთა 53 პროცენტი, საქართველოს რესპუ-ბლიკაში - 46, მათ შორის: აფხაზე-თში - 39, ხოლო აჭარაში - მხოლოდ 28 პროცენტი.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავ-ტონომიური ოლქის მოსახლეობა, ასევე, გაცილებით უკეთ იყო უზ-რუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ფართობით, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის წებისმიერი ავ-ტონომიური ფორმირების მოსახ-ლეობა. ამრიგად, ამ მაჩვენებლე-ბითაც ყოფილი ოლქი პირველ ად-გილზე იყო ყოფილ საბჭოთა კავში-რში. რეგიონის მოსახლეობას მნიშ-ვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა პირად საკუთრებაში მსუბუქი ავ-ტომობილებიც. მაგალითად, ყო-ფილი ოლქის მოსახლეობის ყოვე-ლი ათასი კაციდან 59 კაცს ჰყავდა მსუბუქი ავტომობილი, ხოლო ყო-ფილ საბჭოთა კავშირში - 53 კაცი;

კიდევ ერთი მაჩვენებლით იდგა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტო-ნომიური ოლქი პირველი ადგილზე საბჭოთა კავშირში - ყოველ ათი ათას მოსახლეზე ბიბლიოთეკების რაოდენობით. ამასთან, მოსახლე-ობის საკლუბო დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად სჭარბობდა სხვა რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენ-ებელს.

ამდენი პირველი ადგილის ხსე-ნებით შეიძლება, ოსებზე გულდამ-ნეარ ჩრდილოელ მეზობელს, ეჭვ-იც დაებადოს მონაცემთა ობიექ-ტურობაში. ამიტომ, საეჭვო რომ არაფერი დარჩეს, აღვნიშნავთ: ჩვენ ვისარგებლეთ ყოფილი საბ-ჭოთა კავშირის სტატისტიკის სა-ხელწიფო კომიტეტის გამოცემე-ბით - **Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов, М., 1989. Народное хозяйство СССР в 1989 г., М. (1990).**

სამხრეთ ოსეთში სრული შესაძ-ლებლობა ჰქონდა ახალგაზრდობ-ას, განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. მაშინ, როდესაც ჩრდილო-ეთ კავკასიაში, კერძოდ, აბაზადო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდი-ლოეთ ოსეთის, ჩჩენი-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ად-ილესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავ-ტონომიურ ოლქებში არც ერთი ერო-ვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვი



საქართველოში მცხოვრებ ოსებს საუკეთესო პირობები ჰქონდათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურის განვითარებისთვის.

რუსულ ენაზე სწავლობდა (**Современные этнические процессы в СССР. М., 1977, с. 273**). საქართველოში კი 98 ოსური სკო-ლა ფუნქციონირებდა, შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შო-რის 90 სკოლა - ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხო-ლო 8 სკოლა - ოსებით მშდარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგი-ლებში - თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ქარელსა და ყვარელში. ქართველი საზოგადოება ყოვე-ლთვის ზრუნავდა ოსური კულტუ-რის განვითარებისათვის. ისტორი-ული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ერე-კლე მეფის დროს საგანგებო კომი-სიამ ოსებს პირველად შეუქმნა და-მწერლობა, მოგვიანებით კი ქარ-თული დამწერლობის გრაფიკა და-ედო საფუძვლად ოსურ დამწერ-ლობას.

ქართველი ხალხი, მე-19 საკუ-ნიდან მოყოლებული დღემდე, ყო-ველთვის ზრუნავდა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარები-სათვის, სკოლებში მშობლიურ ოს-ურ ენაზე სწავლა-განათლების მი-ღებისათვის. ისტორიული სიმართ-ლე მეტე პატივისცემას იმსახურებს. სიმართლე კი ის არის, რომ, როგ-ოც ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, ოსებმა ისარგებლეს ქართული "დედა-ენ-ით" და მოკლე ხანში შექმნეს ოსუ-რი "დედა-ენა". ამასთან, რადგან ფოტოსურათების დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მათ ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომლებიც უფასოდ და-ეთმოთ.

